



GEORGIAN STOCK EXCHANGE
საქართველოს საფონდო ბირჟა

28 თებერვალი, 2011 წ.

პრესრელიზი

მიმდინარე წლის 27-28 თებერვალს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ საფონდო ბირჟების ევროაზიული ფედერაციის გენერალური მდივანი, სტამბულის საფონდო ბირჟის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი ბატონი მუსტაფა ბალტაჩი და სტამბულის საფონდო ბირჟის დირექტორი ბატონი ერალპ პოლატი. ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს ორგანიზებულ საფონდო ბაზარზე შექმნილი მდგომარეობის განხილვა.

ისინი ეწვივნენ საქართველოს საფონდო ბირჟას და საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარს და შეხვდნენ მმართველი ორგანოს წევრებს. შეხვედრაზე განიხილულ იქნა საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის, ბირჟის და დეპოზიტარის განვითარების პრობლემები და მათი საერთაშორისო საბირჟო სტრუქტურებში ინტეგრირების პერსპექტივები.

“საქართველოს საფონდო ბირჟა” (სსბ) წარმოადგენს ერთადერთ ორგანიზებულ და ლიცენზირებულ საფონდო ბაზარს საქართველოში. იგი დაფუძნდა 1999 წლის დასაწყისში საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალთა ბირთვის, მოწინავე ქართული ბანკების, საინვესტიციო და სადაზღვევო კომპანიების ინიციატივით. 2000 წლის იანვარში, სსბ ოფიციალურად იქნა აღიარებული თვითრეგულირებად ორგანიზაციად და მიენიჭა საფონდო ბირჟის ლიცენზია, ხოლო 2000 წლის მარტიდან ატარებს რეგულარულ საბირჟო ვაჭრობებს. 2000 წლიდან არის საფონდო ბირჟების ევროაზიული ფედერაციის (FEAS) წევრი. ამჟამად საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში 138 ემიტენტის ფასიანი ქაღალდია დაშვებული.

საფონდო ბირჟების ევროაზიური ფედერაცია (FEAS) დაფუძნდა 1995 წლის 16 მაისს 12 დამფუძნებელი წევრის მიერ. დღეს მათი რიცხვი შეადგენს 34 ნამდვილ და 13 აფილირებულ წევრს. ფედერაციის წევრობა ღიაა ევროპისა და აზიის განვითარებადი საფონდო ბირჟებისათვის. 2011 წლამდე ფედერაციის პრეზიდენტის და ვიცეპრეზიდენტის თანამდებობები ეკავათ სტამბულის საფონდო ბირჟისა და მუსკატის საფონდო ბაზრის წარმომადგენლებს. ფედერაციის მმართველ ორგანოს წარმოადგენს გენერალური ასამბლეა, რომელიც ტარდება ყოველწლიურად ერთერთ წევრ-ქვეყანაში. აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც შედგება 12 წევრისაგან, უფლებამოსილია წარმართოს ფედერაციის პოლიტიკა და მიიღოს ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები.